შპს ჯორჯიან ინჟინერინგ კომპანი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წელი 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----------3

სრული შემოსავლის ანგარიშგება----------4

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება----------5

განმარტებითი შენიშვნები----------6

1. კომპანია და მისი საქმიანობა----------6
2. მომზადების საფუძველი----------6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები----------7
4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები----------12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები----------12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები----------12
7. ძირითადი საშუალებები----------13
8. სავაჭრო ვალდებულებები----------14
9. საგადასახადო ვალდებულებები----------14
10. საკუთარი კაპიტალი---------- 14
11. ამონაგები---------- 14
12. თვითღირებულება---------- 15
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები---------- 15
14. კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)---------- 15
15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან---------- 16
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები---------- 16
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება----------16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	799,799	480,603
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,329,345	310,660
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1,075,313	548,348
სხვა მოკლევადიანი აქტივები		17,612	17,612
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,222,069	1,357,223
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	361,532	284,833
არამატერიალური აქტივები		1,213	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		362,745	284,833
სულ აქტივები		3,584,814	1,642,056
კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	835,565	752,586
საგადასახადო ვალდებულებები	9	268,713	18,674
სხვა ვალდებულებები		2,294	3,760
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,106,572	775,020
სულ ვალდებულებები		**1,106,572**	**775,020**
საკუთარი კაპიტალი	10		
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		2,478,242	867,036
სულ საკუთარი კაპიტალი		2,478,242	867,036
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,584,814	1,642,056

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

ვასილ ზურაბაშვილი
დირექტორი

შორენა გამიაშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	799,799	480,603
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,329,345	310,660
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1,075,313	548,348
სხვა მოკლევადიანი აქტივები		17,612	17,612
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,222,069	1,357,223
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	361,532	284,833
არამატერიალური აქტივები		1,213	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		362,745	284,833
სულ აქტივები		**3,584,814**	**1,642,056**
კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	835,565	752,586
საგადასახადო ვალდებულებები	9	268,713	18,674
სხვა ვალდებულებები		2,294	3,760
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,106,572	775,020
სულ ვალდებულებები		**1,106,572**	**775,020**
საკუთარი კაპიტალი	10		
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		2,478,242	867,036
სულ საკუთარი კაპიტალი		2,478,242	867,036
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,584,814	1,642,056

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

ვასილ ზურაბაშვილი

დირექტორი

შორენა გამიჯაშვილი

მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	11	9,409,453	3,301,780
თვითღირებულება	12	(5,546,122)	(2,117,202)
საერთო მოგება		3,863,331	1,184,578
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,130,654)	(774,376)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		(39,451)	(17,621)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(204,408)	(119,289)
საოპერაციო მოგება		2,488,818	273,292
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	14	(24,011)	627
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი), წმინდა		(13,973)	(10,686)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება დაბეგვრამდე		2,450,834	263,233
მოგების გადასახადის ხარჯი		(125,944)	(31,951)
სულ წმინდა მოგება		**2,324,890**	**231,282**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**2,324,890**	**231,282**

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

ვასილ ზურაბაშვილი

დირექტორი

შორენა გამიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	11	9,409,453	3,301,780
თვითღირებულება	12	(5,546,122)	(2,117,202)
საერთო მოგება		3,863,331	1,184,578
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,130,654)	(774,376)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		(39,451)	(17,621)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(204,408)	(119,289)
საოპერაციო მოგება		2,488,818	273,292
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	14	(24,011)	627
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი), წმინდა		(13,973)	(10,686)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება დაბეგვრამდე		2,450,834	263,233
მოგების გადასახადის ხარჯი		(125,944)	(31,951)
სულ წმინდა მოგება		2,324,890	231,282
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,324,890	231,282

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

ვასილ ზურაბაშვილი

დირექტორი

მორენა გამიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კააპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**-**	**816,807**	**816,807**
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	231,282	231,282
გაცემული დივიდენდი	-	(181,053)	(181,053)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**-**	**867,036**	**867,036**
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	2,324,890	2,324,890
გაცემული დივიდენდი	-	(713,684)	(713,684)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**2,478,242**	**2,478,242**

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

ვასილ ზურაბაშვილი

დირექტორი

შორენა გამიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კააპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	**816,807**	**816,807**
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	231,282	231,282
გაცემული დივიდენდი	-	(181,053)	(181,053)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	**867,036**	**867,036**
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	2,324,890	2,324,890
გაცემული დივიდენდი	-	(713,684)	(713,684)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	2,478,242	2,478,242

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს

ვასილ ზურაბაშვილი

დირექტორი

შორენა გამიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯორჯიან ინჟინერინგ კომპანი“ (“კომპანია”) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/კ 416337574. კომპანია დაფუძნებულია 2017 წლის 1 ნოემბერს. რეგისტრირებულია მისამართზე ქ.რუსთავი, ჟიული შარტავას გამზირი #7, ბინა 26, მისი მართვისა და საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მდებარეობს თბილისში. კომპანიის დამფუძნებელი და 100 % იანი წილის მფლობელია ვასილ ზურაბაშვილი.

შპს „ჯორჯიან ინჟინერინგ კომპანის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაღალი ძაბვის ელექტრო გამანაწილებელი მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები, ელ. ქვესადგურების სამშენებლო სამუშაოები, საჰაერო და საკაბელო ხაზების სამშენებლო სამუშაოები.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანიის მიერ მესამე კატეგორიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება პირველად.

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათი, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესადარის ინფორმაციას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6897
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753
100 რუსული რუბლი/ლარი	2.5405	

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა

პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ გასაყიდად საჭირო მარაგს, ასევე სახარჯ მასალას რომელიც მისი საქმიანობის პროცესში იხარჯება.

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	**სასარგებლო მომსახურების ვადა**
სატრანსპორტო საშუალება	5-15 წელი
საოფისე აღჭურვილობა	2-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წელი
ხელსაწყოები და სხვა ძირითადი საშუალებები	2-10 წელი

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აისახება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება. ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

მოგების გადასახადი

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა. სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით

გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს. მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად.

4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31/12/2024	31/12/2023
ფული ბანკში	703,966.00	354,826.00
ფული სალაროში	95,833.00	125,777.00
სულ	**799,799.00**	**480,603.00**

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,123,239.00	226,594.00
გაცემული ავანსები	76,151.00	84,066.00
სხვა მოთხოვნები	129,955.00	-
სულ	**1,329,345**	**310,660.00**

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31/12/2024	31/12/2023
ნედლეული და მასალები	1,070,193.00	543,168.00
სხვა მარაგი	5,120.00	5,180.00
სულ	**1,075,313.00**	**548,348.00**

7. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	*საოფისე აღჭურვილობა*	*ავეჯი და სხვა ინვენტარი*	*ხელსაწყოები და სხვა ძირითადი საშუალებები*	*სულ*
ისტორიული ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	**26,312.00**	**1,402.00**	**8,524.00**	**11,139.00**	**47,377.00**
შემოსვლა	231,329.00	7,039.00	832.00	27,959.00	267,159.00
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**257,641.00**	**8,441.00**	**9,356.00**	**39,098.00**	**314,536.00**
შემოსვლა	74,997.00	24,516.00	1,821.00	14,680.00	116,014.00
გასვლა	-	-	-	(2,392.00)	(2,392.00)
31დეკემბერი 2024	**332,638.00**	**32,957.00**	**11,177.00**	**51,386.00**	**428,158.00**
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2022	**3,006.00**	**524.00**	**2,800.00**	**5,752.00**	**12,082.00**
წლის ცვეთის ხარჯი	10,779.00	1,030.00	2,142.00	3,670.00	17,621.00
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**13,785.00**	**1,554.00**	**4,942.00**	**9,422.00**	**29,703.00**
წლის ცვეთის ხარჯი	22,080.00	5,600.00	2,581.00	9,054.00	39,315.00
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	(2,392.00)	(2,392.00)
31დეკემბერი 2024	**35,865.00**	**7,154.00**	**7,523.00**	**16,084.00**	**66,626.00**
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	**23,306.00**	**878.00**	**5,724.00**	**5,387.00**	**35,295.00**
31 დეკემბერი 2023	**243,856.00**	**6,887.00**	**4,414.00**	**29,676.00**	**284,833.00**
31დეკემბერი 2024	**296,773.00**	**25,803.00**	**3,654.00**	**35,302.00**	**361,532.00**

8. სავაჭრო ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო ვალდებულებები	567,829.00	506,586.00
მიღებული ავანსები	267,736.00	246,000.00
სულ	**835,565.00**	**752,586.00**

9. საგადასახადო ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023
საგადასახადო ვალდებულებები (წეტო)	296,281.00	39,140.00
ქონების გადასახადი	1,657.00	1,324.00
დღგ გადახდილ ავანსზე	11,616.00	15,735.00
დღგ მიღებულ ავანსზე	(40,841.00)	(37,525.00)
სულ	**268,713.00**	**18,674.00**

10. საკუთარი კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი არ აქვს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი მოგება შეადგენს 2,478,242.00 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 867,036.00 ლარს.

11. ამონაგები

	31/12/2024	31/12/2023
საქონლის გაყიდვიდან	8,083,080.00	2,268,150.00
მომსახურების გაწევიდან	1,326,373.00	1,033,630.00
სულ	**9,409,453.00**	**3,301,780.00**

12. თვითღირებულება

	31/12/2024	31/12/2023
გამოყენებული მასალა	4,921,579.00	1,613,225.00
შეძენილი მომსახურება	624,543.00	503,977.00
სულ	**5,546,122.00**	**2,117,202.00**

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31/12/2024	31/12/2023
ტექნიკის რემონტის ხარჯი	25,494.00	8,347.00
ოფისის იჯარა	45,628.00	-
დაზღვევა	14,348.00	6,339.00
ბანკის საკომისიო	7,071.00	2,906.00
მივლინება	13,787.00	26,246.00
საწვავი	40,912.00	31,221.00
სხვა ხარჯი	57,168.00	44,230.00
სულ	**204,408.00**	**119,289.00**

14. კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

	31/12/2024	31/12/2023
საკურსო მოგება	7,639.00	19,587.00
საკურსო ზარალი	(31,650.00)	(18,960.00)
სულ	**(24,011.00)**	**627.00**

15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წელს კომპანიის ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ანაზღაურება შეადგენს **110,813.00 ლარს,** ხოლო 2023 წელს **129,930.00 ლარს.** 2023 და 2024 წლების მდგომარეობით კომპანიას დაკავშირებული მხარეები არ ყავს, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს.